დასკვნა:**d08.37221501**
თარიღი:**30/05/2022**

დასკვნა

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ“ - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ” განიხილა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - პროექტი (შემდგომში პროექტი) და დაადგინა:

1, ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ძირითადად მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს :

-მუნიციპალიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებით ქალაქ ოზურგეთში, მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში გაშვებას.

-ქალაქის ცენტრალური ნაწილის მისადაგაებას საქალაქო მეურნეობის მოთხოვნების თანამედროვე დონესთან.

საცხოვრებელი სახლებისა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მოპირკეთება, რაც რადიკალურად შეცვლის ქალაქის იერსახეს.

-განათლების და ჯანდაცვის ობიექტებისა და დასასვენებელი ადგილების და რეკრეაციულ ზონებში განლაგებული ობიექტების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა.

-მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (სოფლებში) საგზაო და კეთილმოწყობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

-,,პროექტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების ფაქტობრივად განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ბრუნვაში ჩართვის დაჩქარება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე

განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი